



საქართველოს სახალხო დამცველი

სპეციალური პრევენციული ჯგუფის დებულება

2015

დამტკიცებულია:

საქართველოს სახალხო დამცველის
2015 წლის 16 თებერვლის N53 ბრძანებით

დანართი N1

ცვლილებები და დამატებები შევიდა:

საქართველოს სახალხო დამცველის
2017 წლის 24 იანვრის N17 ბრძანებით

საქართველოს სახალხო დამცველის
2021 წლის 13 აპრილის N45 ბრძანებით

სპეციალური პრევენციული ჯგუფის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სპეციალური პრევენციული ჯგუფის დებულება (შემდგომში - "დებულება") განსაზღვრავს სპეციალური პრევენციული ჯგუფის სტრუქტურას, წევრთა საქმიანობის წესს, უფლებამოსილებას და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. სპეციალური პრევენციული ჯგუფი იქმნება საქართველოს სახალხო დამცველთან „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3¹, მე-19 და მე-19¹ მუხლებით გათვალისწინებული წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით.
3. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და წინამდებარე დებულებით.
4. დებულების მოქმედება ვრცელდება სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრზე (შემდგომში - სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი).
5. დებულების მოქმედება ვრცელდება პრევენციის ეროვნული მექანიზმის (შემდგომში - პრევენციის ეროვნული მექანიზმი) უფლებამოსილების განხორციელებისას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. მონიტორინგი - თავისუფლების აღკვეთისა და სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში გეგმიური და არაგეგმიური ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული შემოწმება.
2. ადმინისტრაცია - პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილების, ფსიქიატრიულ დაწესებულებების, მოხუცთა თავშესაფრებისა და ბავშვთა სახლების ადმინისტრაცია.
3. ინტერესთა კონფლიქტი - შემთხვევა, როცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს აკავშირებს ნათესაური, მეგობრული, სამსახურებრივი, პირადი ან სხვა კავშირი (რომელიც დამოუკიდებელი დამკვირვებლის თვალში შეიძლება განხილულ იქნას ინტერესთა კონფლიქტად) დახურული ტიპის

დაწესებულებაში მოთავსებულ ან შესაბამისი ადმინისტრაციის პასუხისმგებელი თანამდებობის პირებთან და აღნიშნული წარმოშობის დამოუკიდებლობის ან/და მიუკერძოებლობის ხელყოფის ობიექტურ საფრთხეს.

4. სამუშაო მეთოდოლოგია - პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მონიტორინგის განხორციელების შესახებ სპეციალური, წინასწარ შემუშავებული სახელმძღვანელო.

5. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი - საქართველოს სახალხო დამცველთან „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3¹, მე-19 და მე-19¹ მუხლებით გათვალისწინებული წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით შექმნილი ჯგუფის წევრი.

6. ხელშეკრულება - საქართველოს სახალხო დამცველსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს შორის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დადებული შესაბამისი ხელშეკრულება.

7. ჯგუფის ხელმძღვანელი - პირი, რომელიც კოორდინაციას უწევს მონიტორინგის განხორციელებას უშუალოდ მონიტორინგის ადგილზე.

მუხლი 3. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შემადგენლობა

1. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სახალხო დამცველი ბრძანებით.

2. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით 2 წლის ვადით. კონკურსის ჩატარების პირობები განისაზღვრება საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით.

2¹. განსაკუთრებულ შემთხვევებში, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიზნებიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების ვადის გახანგრძლივების შესახებ.

3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიზნებიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალური პრევენციული ჯგუფის შემადგენლობაში წევრის დროებით დამატების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, წევრის დამატების შესახებ გადაწყვეტილებას სახალხო დამცველი იღებს კონკურსის გარეშე.

4. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სათანადო განათლება, პროფესიული გამოცდილება და საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლია შეასრულოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციები.

5 სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

6 სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ეწევა კერძო საადვოკატო საქმიანობას ან ჟურნალისტურ საქმიანობას.

მუხლი 4. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა საქმიანობის ზოგადი წესი და პრინციპები

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი მოქმედებს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნების საფუძველზე და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის წინაშე.

2. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული კონკრეტული დავალების ფარგლებში, რომლის შესრულებას, ორგანიზებას, კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმი (დეპარტამენტი).

3. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის ნებისმიერი მოქმედება ან სტატუსი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიზნებს.

4. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა საქმიანობის პრინციპებია:

- ა) სამართლიანობა;
- ბ) ობიექტურობა;
- გ) ნდობა;
- დ) კონფიდენციალობა;
- ე) ადამიანის უფლებათა დაცვა;
- ვ) ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა;
- ზ) კოლეგიალობა;
- თ) ურთიერთპატივისცემა.

მუხლი 5. მონიტორინგის ორგანიზება

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში მონიტორინგს გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმი (დეპარტამენტი).

2. სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმი (დეპარტამენტი) წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საქმიანობის განხორციელების მიზნით:

- ა) დაწესებულების ტიპის, საკვლევი საკითხებისა და ჯგუფის მულტიდისციპლინური დაკომპლექტების საჭიროების გათვალისწინებით, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებიდან ადგენს კონკრეტული მონიტორინგის განსახორციელებელი ჯგუფის შემადგენლობას და შესათანხმებლად წარუდგენს საქართველოს სახალხო დამცველს;
- ბ) წერილობით, დაგეგმილი მონიტორინგისა და სამუშაო შეხვედრის შესახებ არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე ატყობინებს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს;
- გ) საგანგებო მონიტორინგის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე მონიტორინგის შესახებ ატყობინებს ამ საგანგებო მონიტორინგისათვის შერჩეულ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს;
- დ) საქართველოს სახალხო დამცველთან შეთანხმებული მონიტორინგის ჯგუფის წევრებს შორის ანაწილებს ფუნქციებს და გამოყოფს ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელიც კოორდინაციას უწევს მონიტორინგის განხორციელებას უშუალოდ მონიტორინგის ადგილზე;
- ე) უზრუნველყოფს მონიტორინგის ჯგუფის წევრებისათვის მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას;
- ვ) უზრუნველყოფს სამუშაო მეთოდოლოგიის შემუშავებას;
- ზ) აგვარებს მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკურ საკითხებს.

მუხლი 6. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის უფლებამოსილება და დაცვის გარანტიები

1. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები მოქმედებენ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3¹ და მე-19¹ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში.

საქართველოს სახალხო დამცველი. პრევენციის ეროვნული მექანიზმი.

2. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა ქცევის რეგულარული შემოწმების, ასევე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან მათი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველი/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი:

ა) მოწმის გარეშე, პირადად ან თარჯიმნის მეშვეობით ხვდება და ესაუბრება დაკავებულებს, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებსა და მსჯავრდებულებს, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ აღნიშნულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ბ) ამოწმებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა შესახებ არსებულ დოკუმენტაციას და პირობებს.

3. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა დაკავებულებთან, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან და მსჯავრდებულებთან, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირებთან კონფიდენციალურია. რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია.

4. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისთვის განკუთვნილ საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე, საფოსტო გზავნილზე ყადაღის დადება, მათი შემოწმება და ამოღება არ შეიძლება.

5. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს უფლება აქვთ, არ მისცენ ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მათ გაანდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას. მათ ეს უფლება უნარჩუნდებათ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

6. საქართველოს სახალხო დამცველის წინასწარი წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს უფლება აქვს გაამჟღავნოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს კონკრეტული ფიზიკური პირის პერსონალურ მონაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ამ უკანასკნელის ინფორმირებული წერილობითი თანხმობა ასეთი ინფორმაციის გასაჯაროების თაობაზე.

7. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს უფლება აქვს ინფორმირებული იყოს დაგეგმილი მონიტორინგის შესახებ, მონიტორინგის განხორციელებამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე.

8. დახურული ტიპის დაწესებულებაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები გადაადგილდებიან ინდივიდუალურად, დაწესებულების თანამშრომლების გარეშე. გამონაკლის შემთხვევაში, ამ დაწესებულების თანამშრომლები შეიძლება გადაადგილდნენ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან ერთად, მათივე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ამ შემთხვევაში უნდა იქნას დაცული მონიტორინგის დამოუკიდებლად წარმართვის შესაძლებლობა.

მუხლი 7. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის ვალდებულებები და ქცევის წესი

1. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი მონიტორინგის განხორციელებისას ვალდებულია:

- ა) იხელმძღვანელოს მოქმედი საკანონმდებლო ნორმებით, მათ შორის, სრულად დაიცვას შესაბამისი დახურული ტიპის დაწესებულების უსაფრთხოების წესები;
- ბ) დაესწროს სახალხო დამცველის/სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის (დეპარტამენტი) მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს;
- გ) დაგეგმილ მონიტორინგსა და შეხვედრებში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, წინასწარ, წერილობით (ბეჭდური ან ელექტრონული სახით) აცნობოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის (დეპარტამენტი) უფროსს/უფროსის მოადგილეს შესაბამისი მიზეზების შესახებ;
- დ) თავისუფლებააღკვეთილ ან თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან გასაუბრების დაწყებისას წარადგინოს თავისი თავი და აუხსნას მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ.
- ე) თავისუფლებააღკვეთილ ან თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან გასაუბრება განხორციელოს პირადად, ყოველგვარი დაკვირვების გარეშე ადმინისტრაციის მხრიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვს გარკვეულ ზედამხედველობას, ისიც მხოლოდ და მხოლოდ ვიზუალურ კონტროლს და არცერთ შემთხვევაში არ უნდა გახდეს ცნობილი საუბრის შინაარსი დაწესებულების ადმინისტრაციისთვის;
- ვ) არ გადასცეს ინფორმაცია თავისუფლებააღკვეთილ ან თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან საუბრის შინაარსის ან მისი ნაწილის შესახებ დაწესებულების ადმინისტრაციას;
- ზ) შეწყვიტოს გამოკითხვა იმ შემთხვევაში თუ თავისუფლებააღკვეთილი ან თავისუფლებაშეზღუდული პირი მიიჩნევს, რომ მისი და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების გასაუბრებისას ირღვევა კონფიდენციალურობა;
- თ) მიიღოს ზომები თავისუფლებააღკვეთილ ან თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან ინდივიდუალურად, სხვა პირების დასწრების გარეშე გასაუბრებისთვის. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს შეუძლია გამოიყენოს გასაუბრების კოლექტიური ფორმაც, თუ ამგვარი ფორმის გამოყენება ხელს არ უშლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიზნების განხორციელებას;
- ი) თავისუფლებააღკვეთილ ან თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან კოლექტიური გასაუბრების შემთხვევაში, თუკი მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია მოითხოვს ამას, შეხვედრა გააგრძელოს ინდივიდუალურ რეჟიმში;
- კ) თავისუფლებააღკვეთილ ან თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან გასაუბრებისას აუხსნას პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი და განუმარტოს, რომ მათი შემოწმების მთავარი საგანი არის დაწესებულების შიგნით არსებული პირობები და შესაბამისი მოპყრობა;
- ლ) თავისუფლებააღკვეთილ ან თავისუფლებაშეზღუდულ პირებს გაესაუბროს ამ უკანასკნელთა თანხმობის შემთხვევაში.
- მ) თავისუფლებააღკვეთილი ან თავისუფლებაშეზღუდული პირის მიერ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან შეხვედრაზე უარის თქმის შემთხვევაში, თუ ეს გამოხატავს მის რეალურ ნებას, არ განახორციელოს პირადი გასაუბრება;
- ნ) საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით, საგამოძიებო ან სასამართლო ორგანოების მიერ პირის დაკითხვის ან გამოკითხვის შემთხვევაში, გადადოს მასთან შეხვედრა ამ მოქმედების დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ვალდებულების ან ფუნქციის შესრულების დაყოვნებამ მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება მიაყენოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიზნების შესრულებას.
- ო) განხორციელებული ვიზიტის შემდეგ, მნიშვნელოვანი პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში (კონკრეტული პირის სიცოცხლის რისკის ქვეშ არსებობა, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა

ან/და მძიმე შედეგის დადგომის სხვაგვარი რისკის არსებობა), დაუყოვნებლივ მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს, ჯგუფის ხელმძღვანელს, მიაწოდოს ინფორმაცია და შესაძლო განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ მოსაზრება;

პ) არ გაახმაუროს საიდუმლო ან კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად;

ჟ) არ გაამჟღავნოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში განსახორციელებელ ვიზიტებს, მათ ადგილდებარეობას, ხანგრძლივობას ან სხვა საკითხებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ პრევენციის ეროვნული მექანიზმის უფლებამოსილების განხორციელების შეფერხება ან სხვაგვარად ხელშეშლა;

რ) საქართველოს სახალხო დამცველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას.

ს) მონიტორინგის განხორციელების დროს იხელმძღვანელოს წინასწარ შემუშავებული, შესაბამისი სამუშაო მეთოდოლოგიით .

2. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება პირს უნარჩუნდება სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

3. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, მისი თავიდან აცილების მიზნით, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ვალდებულია: პირველივე შესაძლებლობისთანავე დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველს ან ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის კონკრეტული ვიზიტის განხორციელებისაგან აცილების შესახებ.

4. პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეპუტაციის და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის მიზნით:

ა) მონიტორინგის განხორციელების დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის ჩაცმულობა უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს;

ბ) სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი უნდა იმოსებოდეს სადად და საქმიანად.

გ) სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ დაუშვებელია იმგვარი სამოსის ტარება, რომელზეც წერია შეურაცხმყოფელი და/ან დისკრიმინაციული, ჰომოფობიური, სექსისტური, სიძულვილის ენის გამომხატველი გამონათქვამები, გამოსახულია ვულგარული, პორნოგრაფიული გამოსახულება და/ან კარიკატურა;

დ) სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ვალდებულია იცოდეს და დაიცვას თავისუფლების აღკვეთის და სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში მოქმედი, კანონმდებლობით ან/და ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები.

მუხლი 8. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მონიტორინგის შედეგები

1. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ვალდებულია მოახდინოს მონიტორინგის შედეგების სრულყოფილი წერილობითი ფიქსაცია.

2. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მონიტორინგის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა მოამზადონ სრული და ობიექტური ანგარიში, რომელსაც ქართულ ენაზე, ანგარიშის დადგენილი ფორმით წარუდგენენ სახალხო დამცველს.

3. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ანგარიშის წარდგენის ვადები განისაზღვრება ხელშეკრულებით.

მუხლი 9. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სახალხო დამცველი.
2. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) არასაკმარისი მიზეზით ზედიზედ ორჯერ დაგეგმილ მონიტორინგში ან სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მიუღებლობა;
 - გ) თუ იგი გახდა პოლიტიკური პარტიის წევრი ან სხვაგვარად მონაწილეობს პოლიტიკურ საქმიანობაში;
 - დ) დასაქმდა ისეთ საჯარო დაწესებულებაში, რომლის საქმიანობა პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობასთან და/ან რომლის მონიტორინგის განხორციელება შედის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებში;
 - ე) ეწევა კერძო საადვოკატო საქმიანობას ან ჟურნალისტურ საქმიანობას;
 - ვ) წინამდებარე დებულებით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის გამო;
 - ზ) მონიტორინგის შედეგების შესახებ დადგენილი წესით და ვადაში ანგარიშის წარმოდგენლობა;
 - თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;
 - ი) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
 - კ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
 - ლ) გარდაცვალება.
3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის თაობაზე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ვალდებულია შეატყობინოს წერილობით საქართველოს სახალხო დამცველს ასეთი გარემოების დადგომისთანავე.